

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია  
მონიტორინგის შედეგები**  
(09.09.2016 – 22.09.2016)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილების თანახმად, კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან უშუალოდ განახორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“, შემუშავდა წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები, ჩატარდა ტრენინგები, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისათვის, ისე ყველა იმ სამაუწყებლო კომპანიის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაში.

2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მედია მონიტორინგს, კომისიაში დასაქმებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და კურსდამთავრებულნი ახორციელებენ.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი 2016 წლის 08 ივნისს დაიწყო. მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა საერთო მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალ ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. კომისიის მონიტორინგის დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ

მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომისია შეისწავლის ყოველ კონკრეტულ საკითხს და გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს მეოთხე შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2016 წლის 09 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით.

**მესამე ანგარიშიდან საინფორმაციო გამოშვებებში საარჩევნო სუბიექტებისათვის პირდაპირ და ირიბად დათმობილი დროის შესახებ ინფორმაცია დაემატა. პირდაპირ დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, ირიბად დათმობილი დროის ფარგლებში გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო.**

**პირდაპირ დათმობილი დრო აღნიშნულია ლურჯი ფერით, ირიბი – წითელით.**

## საზოგადოებრივი მაუწყებელი

**I არხი** – საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 23.3%, „თავისუფალ დემოკრატებს“ – 22%, „რესპუბლიკელებს“ 11.7%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 10.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 31.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 20%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „მთავარი თამარ ჩიქოვანთან“, „ინტერვიუ სალომე ასათიანთან“, „რეალური სივრცე“ და „ეკონომეტრი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მთავარი თამარ ჩიქოვანთან“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) და „მრეწველების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „ინტერვიუ სალომე ასათიანთან“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და „რესპუბლიკელები“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „რეალური სივრცე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ) წარმომადგენლებს შორის და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „მრეწველების“ (ორჯერ), „ლეიბორისტების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ) წარმომადგენლებს შორის. ამავე პერიოდში გადაცემას „ეკონომეტრი“ სტუმრობდა „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

### სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ II არხი<sup>1</sup>


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.gpb.ge](http://www.gpb.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



<sup>1</sup> სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ II არხის შესახებ ინფორმაცია ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხვდა მეოთხე შუალედურ ანგარიშში. საანგარიშო პერიოდის თაობაზე ინფორმაცია მოწოდებული იქნება მომდევნო ანგარიშებში.

**საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი**  
(საუკეთესო დრო)



**საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი**





### საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 21.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 19.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 44%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 20.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „არჩევნები 2016“ და „ფაქტორი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „არჩევნები 2016“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „საქართველო მშვიდობისათვის“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ), „კომუნისტური პარტიის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „ჩვენების“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ემსახურე საქართველოს“ (ერთხელ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის. ამავე პერიოდში გადაცემას „ფაქტორი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ოთხჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ექვსჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ექვსჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ხუთჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ექვსჯერ), „საქართველოს მშვიდობისათვის“ (ორჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ხუთჯერ), „რესპუბლიკელების“ (ხუთჯერ), „მრეწველების“ (ოთხჯერ), „ლეიბორისტების“ (სამჯერ), „ემსახურე საქართველოს“ (სამჯერ), „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ (ერთხელ), „ზვიადის გზა-უფლის სახელით“ (ერთხელ) და დამოუკიდებელი კანდიდატი ზ. ფუტკარაძე.



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

აჭარის ტელევიზიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.ajaratv.ge](http://www.ajaratv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

**აკარა**  
(საუკეთესო დრო)









**შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 35%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 22.7%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 12.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 31%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 24.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 10.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებაში ხორციელდება სტუმრის ჩართვა. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვების სტუმრები პოლიტიკური პარტიებიდან იყვნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ლეიბორისტების“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ოთხჯერ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ახვლედიანი.

„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „არჩევანი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „ლეიბორისტების“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ოთხჯერ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები, რომელთა შორის გაიმართა დებატები. ამავე


გადაცემაში შედგა შემდეგი პოლიტიკური გაერთიანებების პრეზენტაცია: „თავისუფალი დემოკრატები“, „ლეიბორისტები“.


„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია შაბათის „კურიერი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ლეიბორისტების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რუსთავი 2“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.rustavi2.com](http://www.rustavi2.com)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რუსთავი 2“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





**შპს „ჯი დი ეს თი ვი“  
(GDS)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს<sup>2</sup> ყველაზე მეტი დრო დაეთმო „თავისუფალ დემოკრატებს“ – 24.7%, „ქართულ ოცნებას“ - 20.3%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 16.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„GDS“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „20:30“, „59 წამი“ და „59 წამი არჩევნები 2016“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „20:30“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ცხრაჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ხუთჯერ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „მრეწველების“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ს. ზურაბიშვილი (ერთხელ), ი. ოქრუაშვილი (ერთხელ). ამავე გადაცემის ფარგლებში დებატებში<sup>3</sup> მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „თავისუფალი დემოკრატების“, „ეროვნული ფორუმისა“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში

<sup>2</sup> სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;



<sup>3</sup> გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები უარს აცხადებენ პროგრამაში მონაწილეობაზე;

გადაცემას „59 წამი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ზ. შარია (ერთხელ), ი. კოკაია (ერთხელ), გ. ფაცურია (ერთხელ). ამავე გადაცემის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „რესპუბლიკელების“, „ქართული ოცნების“, „თავისუფალი დემოკრატების“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“, „ეროვნული ფორუმის“, „მემარცხენე ალიანსის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატებმა ი. კოკაია, ზ. შარიამ, გ. ფაცურიამ. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „59 წამი არჩევნები 2016“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ოთხჯერ), „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ), „მრეწველების“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ) და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ). ამავე გადაცემის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „რესპუბლიკელების“, „მრეწველების“, „ეროვნული ფორუმის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „პატრიოტთა ალიანსი–გაერთიანებული ოპოზიციის“, „ლეიბორისტების“ და „მემარცხენე ალიანსის“ წარმომადგენლებმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „GDS“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„GDS“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.gdstv.ge](http://www.gdstv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„GDS“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



**შპს „ტელემედი“**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „თავისუფალ დემოკრატებს“ – 35%, „ქართულ ოცნებას“ - 16.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 16.3%, „რესპუბლიკელებს“ 16%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „სახელმწიფო ხალხისთვის“ 22.5%, „ქართულ ოცნებას“ – 20.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 20.5%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვებაში ხორციელდება სტუმრის ჩართვა. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვების სტუმრები პოლიტიკური პარტიებიდან იყვნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ) წარმომადგენლები.


„იმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „პოლიტიკა“, „იმედის დრო“ და „ღია ეთერი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „იმედის დროს“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „ღია ეთერი“<sup>4</sup> პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი (ერთხელ). ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „რესპუბლიკელების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატების“, „ქართული ოცნების“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატმა ს. ზურაბიშვილმა. აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა უარი განაცხადა გადაცემაში მონაწილეობაზე.

„იმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.


---



<sup>4</sup> კომისიის მესამე შუალედურ ანგარიშში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ გადაცემას „ღია ეთერი“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები სტუმრობდნენ ერთხელ ნაცვლად ორისა.

**იმედი**  
(საუკეთესო დრო)



**იმედი**





### შპს „სტუდია მანსტრო“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 26.7%, „ქართულ ოცნებას“ 21.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 14.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 32%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 20.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 15.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო გამოშვების მეორე ბლოკში ხორციელდება სტუმრის ჩართვა. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვების მეორე ბლოკის სტუმრები პოლიტიკური პარტიებიდან იყვნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „საქართველოს მშვიდობისათვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ს. ზურაბიშვილი.



მაესტროს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „მაესტროს ფაქტორი“, „ღამის კონტაქტი“, „ცეცხლის ხაზი“ და „SWOT ანალიზი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მაესტროს ფაქტორი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ), „მრეწველების“ (ერთხელ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“, „ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისათვის“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „მრეწველების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „ეროვნულ ფორუმის“, „მემარცხენე ალიანსის“ და „რესპუბლიკელების“ წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ღამის კონტაქტი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ხუთჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „მრეწველების“ (ერთხელ), „ჩვენების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ი. კოკაია (ერთხელ). ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“, „რესპუბლიკელების“, „ეროვნული ფორუმის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „თავისუფალი დემოკრატების“, „სახელმწიფო ხალხისათვის“ წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა კანდიდატმა ილია კოკაიამ. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ცეცხლის ხაზი“ სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისათვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ და „სახელმწიფო ხალხისათვის“ წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „SWOT ანალიზი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მაესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.maestro.ge](http://www.maestro.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





**შპს „ტელეკომპანია კავკასია“**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 34.3%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 16.5%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 13.2%,

„რესპუბლიკელებს“ 10.7%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 41.8%, „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ - 14%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 11.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „სპექტრი“ და „ბარიერი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სპექტრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „მრეწველების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ი. გაბრიჩიძე, ჯ. გახოვიძე და გ. ბახტაძე. ამავე პერიოდში გადაცემას „ბარიერი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ცხრაჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ოთხჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „ნაციონალური მოძრაობის“ (რვაჯერ), „მრეწველების“ (ერთხელ), „ეროვნული ფოუმის“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ექვსჯერ) და „ლეიბორისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემის ფარგლებში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „თავისუფალი დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“, „ეროვნული ფოუმის“, „ლეიბორისტების“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „მრეწველების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.kavkasiatv.ge](http://www.kavkasiatv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.



„კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

**კავკასია**  
(საუკეთესო დრო)



**კავკასია**





**შპს „იბერია TV“**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს<sup>5</sup> ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 29%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 17%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 13.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


<sup>5</sup> სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

„იბერია TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „პრიორიტეტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ხუთჯერ), „მრეწველების“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (სამჯერ), „თამაზ მექიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ილია კოკია. ამავე გადაცემაში, დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „თამაზ მექიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „ლეიბორისტების“ და „სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლებმა.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იბერია TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იბერია TV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.iberiatv.ge](http://www.iberiatv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იბერია TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







### შპს „ტელეკომპანია პირველი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 20.1% და „ქართულ ოცნებას“ - 20.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 17.8%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 12%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 24.4%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 21%, „ქართულ ოცნებას“ – 19.7%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 11.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „ინგა გრიგოლიას ამბები“, „ვახო სანაიას ამბები“, „რვიანი“ და „შეკითხვის დრო“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ინგა გრიგოლიას ამბები“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ჩვიდმეტჯერ), „ქართული ოცნების“ (ცამეტჯერ), „რესპუბლიკელების“ (შვიდჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ექვსჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ), „ჩვენები-სახალხო პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი რამაზ ახვლედიანი (ერთხელ). ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (შვიდჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ),



„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) და „ჩვენები-სახალხო პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ვახო სანაიას ამბები“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (შვიდჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (შვიდჯერ), „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ლეიბორისტების“ (ერთხელ) და „მრეწველების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატში მონაწილეობა მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (შვიდჯერ), „ქართული ოცნების“ (ექვსჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (სამჯერ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ) წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „რვიანი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (შვიდჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ექვსჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „შეკითხვის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „რესპუბლიკელების“ (ორჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში პოლიტიკური პარტიებიდან დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


„პირველი TV“-ს ეთერში განთავსებულია გადაცემა „ბიზნესკონტრაქტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ირაკლი პეტრიაშვილი (ერთხელ). ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) და „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პირველი TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„პირველი TV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.tvpirveli.ge](http://www.tvpirveli.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.



„პირველი TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

**ტვირთვალი**  
(საუკეთესო დრო)



**ტვირთვალი**





**ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებულ ოპოზიციას“ – 28.7%, „ქართულ ოცნებას“ – 14.5%, „სახელმწიფო

ხალხისთვის“ 13.2%, „თავისუფალ დემოკრატებს“ 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებულ ოპოზიციას“ – 35.7%, „ქართულ ოცნებას“ 15.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 15.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„ობიექტივის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „დილის შოუ“, „შუადღე“, „სადამოს შოუ“, „ღამის შოუ“ და დებატების პროგრამა „დღის თემა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დილის შოუ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ექვსჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „ცენტრისტების“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „შუადღე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ხუთჯერ), „რესპუბლიკელების“ (ერთხელ), „მომავალი საქართველოს“ (ერთხელ), „მრეწველების“ (ერთხელ) და „საქართველოს მშვიდობისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სადამოს შოუ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „მრეწველების“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „ღამის შოუ“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ხუთჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ორჯერ), „ცენტრისტების“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ) და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემაში დღის თემა დებატებში მონაწილეობა მიიღეს „თავისუფალი დემოკრატების“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“, „სახელმწიფო ხალხისთვის“, „მემარცხენე ალიანსის“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„ობიექტივის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.obieqtivi.net](http://www.obieqtivi.net)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.



„ობიექტივის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

**ობიექტები**  
(საუკეთესო დრო)



**ობიექტები**





**შპს „პალიტრა TV“  
(Palitra News)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 34.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 17.8%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 16.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 33.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 20.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 20.5%, „მრეწველებს“ 11.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„პალიტრა News“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „360“, „ჩემი კითხვა“ და „მეხუთე სართული“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „360“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „მრეწველების“ (ერთხელ), „რესპუბლიკელების“ (ოთხჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ოთხჯერ), „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „სახელმწიფო ხალხისთვის“, „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „მეხუთე სართული“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებმა. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ჩემი კითხვა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პალიტრა News“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„პალიტრა News“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.palitratv.ge](http://www.palitratv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„პალიტრა News“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



### პალიტრატვ (საუკეთესო დრო)



### პალიტრატვ







**აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 38.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 22.3%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 15%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ 46.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 20.5%, „რესპუბლიკელებს“ 14.7%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 12.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„ტაბულას“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „თეორემა“, რომელსაც პოლიტიკური პარტიებიდან საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ) და „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„ტაბულას“ ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „საუბარი რელიგიაზე“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა „რესპუბლიკელების“ (ერთხელ) წარმომადგენელი.<sup>6</sup>

„ტაბულას“ ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „მძიმე კაცთან“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა „სახელმწიფო ხალხისთვის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.<sup>7</sup>



„ტაბულას“ მიერ საჯაროდ არ გამოცხადებულა ([www.tabula.ge](http://www.tabula.ge)) და კომისიაში არ წარმოდგენილა მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„ტაბულას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



<sup>6</sup> იხ. რეკომენდაციების ნაწილი;

<sup>7</sup> იხ. რეკომენდაციების ნაწილი;





### შპს „სტარგროუპი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 25.1%, „რესპუბლიკელებს“ 23.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 18.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„დროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „დასაბამიდან სასუფევლამდე“, „ერთობის დრო“ და „პოლიტიკის დრო“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „დასაბამიდან სასუფევლამდე“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „ქართული იდეის“ (ერთხელ) და „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „პოლიტიკის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ერთობის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ) და „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატებში მონაწილეობა მიიღეს „ეროვნული ფორუმის“, „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „დროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„დროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.qch.ge](http://www.qch.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„დროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





**ააიპ „ჟურნალისტები და იურისტები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის“**

**(PKTV)**

საუკეთესო დროის<sup>14</sup> მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 36.8%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 23.2%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ - 11.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



**„PKTV“-ს სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები, თუმცა მათ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „PKTV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„PKTV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.pktv.ge](http://www.pktv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„PKTV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

<sup>14</sup> სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება საუკეთესო დროს განთავსებული არ ყოფილა;



## შპს „კვირა ტვ“<sup>15</sup>

„კვირა ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებული ([www.kviratv.ge](http://www.kviratv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


## შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს<sup>16</sup> პოლიტიკური პარტიებიდან დრო დაეთმო მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ – 41.6% და „სახელმწიფო ხალხისთვის“ - 37.6% (იხ. დიაგრამა).

„ქართული არხის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „კვირის აზრები“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „მრეწველების“ (ერთხელ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ქართული არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„ქართული არხის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია ([www.qartuliarkhi.ge](http://www.qartuliarkhi.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.



<sup>15</sup> საანგარიშო პერიოდში შპს „კვირა ტვ“-ს მიერ კომისიაში არ იქნა წარმოდგენილი მაუწყებლის ყოველკვირეული ჩანაწერები, შესაბამისად, კომპანიის შესახებ ინფორმაცია ანგარიშში არ აისახა.

<sup>16</sup> სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;





### შპს „ქართული ტვ“



საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს<sup>17</sup> პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 41.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ - 37.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ქართული ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ერთობის დრო“, რომელსაც საანგარისო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“ (ერთხელ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ერთხელ), „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „ჩვენების“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატები ზურაბ ჩიქოვანი ჰამლეტ გეგია და ლაშა შამათავა.

„ქართული ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებული ([www.qtv.com.ge](http://www.qtv.com.ge)) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ქართული ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

<sup>17</sup> სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;



### შპს „საფერავი ტვ“

„საფერავი ტვ“-ს სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა ახალი ამბების პროგრამა.

„საფერავი ტვ“-ს ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.

„საფერავი ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებული ([www.saperavitv.ge](http://www.saperavitv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

**შპს „ჯგუფი-ახალი სტილი“  
(მომავალი ტვ)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ – 45.2%, „ქართულ ოცნებას“ – 43.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ – 58.7%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ – 21.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 16.3%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 3.4% (იხ. დიაგრამა).


„მომავალი ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „თავისუფლების მოედანი“, „ღია სტუდია“ და „10 შეკითხვა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „თავისუფლების მოედანი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ლეიბორისტების“ (სამჯერ) და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „10 შეკითხვა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მომავალი ტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„მომავალი ტვ“-ს საჯაროდ გამოცხადებულია ([www.momavalitv.com](http://www.momavalitv.com)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.



„მომავალი ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

**მომავალი ტვ**  
(საუკეთესო დრო)



**მომავალი ტვ**





**შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია“  
(ახალი საქართველო)**

საანგარიშო პერიოდში „ახალი საქართველოს“ სამაუწყებლო ბადეში ახალი ამბების პროგრამა არ განთავსებულა.

„ახალი საქართველოს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები „საუბრები დამოუკიდებელ, უპარტიო მაჟორიტარ კანდიდატებთან“, „საზოგადოებრივი არჩევანი“,

„ძალაუფლება ხალხს“, „საუბრები ჟურნალისტიკაზე“, „წყნეთის სარკე“ და „PressReview“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „საუბრები დამოუკიდებელ, უპარტიო მაჟორიტარ კანდიდატებთან“<sup>18</sup> პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ეროვნული ფორუმის“ (ერთხელ), „სახალხო პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატები ჰამლეტ გეგია (ექვსჯერ), ირაკლი პეტრიაშვილი (ერთხელ), თამაზ კერძევაძე (ერთხელ), სალომე ზურაბიშვილი (ერთხელ) და თამარ იარაჯული (ერთხელ). ამავე პერიოდში გადაცემას „საზოგადოებრივი არჩევანი“ სტუმრობდა დამოუკიდებელი კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ერთხელ). საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ძალაუფლება ხალხს“ სტუმრობდა დამოუკიდებელი კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ორჯერ). საანგარიშო პერიოდში გადაცემას „საუბრები ჟურნალისტიკაზე“ სტუმრობდა დამოუკიდებელი კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ორჯერ). ამავე პერიოდში გადაცემას „წყნეთის სარკე“ სტუმრობდა დამოუკიდებელი კანდიდატი ჰამლეტ გეგია (ერთხელ). საანგარიშო პერიოდში გადაცემას „Pressreview“ სტუმრობდა დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი ჰამლეტ გეგია<sup>19</sup> (ერთხელ).

„ახალ საქართველოს“ საჯაროდ გამოცხადებული (ვებ-გვერდი არ გააჩნია) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

#### შპს „ტელე-რადიო კომპანია ტვ24“ (TV24)

TV24-ს საინფორმაციო გამოშვებებში<sup>20</sup> პოლიტიკური პარტიებისათვის დრო არ დაუთმია.

TV24-ის მიერ საანგარიშო პერიოდში არ განთავსებულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები.

TV24-ის მიერ კომისიაში წარმოდგენილი და საკუთარ ვებ-გვერდზე ატვირთული არ არის მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

#### შპს „თბილიფილმ-სტუდიო Tbilifilm-studio“ (Tiflis TV)

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს<sup>21</sup> ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ნაციონალურ მოძრაობას“ – 23.8%, „ქართულ ოცნებას“ 23.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 22%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10% ნაკლები (იხ. დიაგრამა).

<sup>18</sup> იხ. რეკომენდაციების ნაწილი.

<sup>19</sup> იხ. დარღვევების ნაწილი.

<sup>20</sup> TV24-ის მიერ კომისიაში 2016 წლის 24 ივნისს წარმოდგენილი წერილის (კომისიაში რეგისტრაციის №6/6071-16) შესაბამისად, ირკვევა რომ მაუწყებლობა ტექნიკური პრობლემებიდან გამომდინარე ხორციელდება ხარვეზებით;


<sup>21</sup> საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიებისათვის დრო დათმობილი არ ყოფილა.


„Tiflis TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები „მესამე ძალა“ და „ეპიცენტრი“, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, Tiflis TV-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

Tiflis TV-ს მიერ ([www.tiflistv.ge](http://www.tiflistv.ge)) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

Tiflis TV-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





**შპს „სიგულდა“  
(TV Max)**

საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს დრო დაეთმო - „ქართულ ოცნებას“ 47.9%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 27.2% და „რესპუბლიკელებს“ 24.9% (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო - „ქართულ ოცნებას“ 47.9%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ 27.2% და „რესპუბლიკელებს“ 24.9% (იხ. დიაგრამა).



„TV Max“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „ჰორიზონტი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „TV Max“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„TV Max“-ის მიერ კომისიაში წარმოდგენილია და საკუთარ ვებ-გვერდზე ([www.tvmax.ge](http://www.tvmax.ge)) ატვირთულია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„TV Max“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







**შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“  
(სდასუ TV)**


საინფორმაციო გამოშვებებში საუკეთესო დროს ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 30.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 15.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ - 33.5%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 14.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„სდასუ ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამა „პოლიტიკური ასპექტები“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმროდბნენ „სახელმწიფო ხალხისთვის“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატების“ (ორჯერ), „ეროვნული ფორუმის“ (ორჯერ), „მემარცხენე ალიანსის“ (ორჯერ) და „პატრიოტთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის“(ერთხელ) წარმომადგენლები.

„სდასუ TV“-ს მიერ საჯაროდ არ არის გამოცხადებული ([www.sdasu.edu.ge](http://www.sdasu.edu.ge)) და კომისიაში არ არის წარმოდგენილი მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„სდასუ TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




### სდასუ ტვ




### სდასუ ტვ

(საუკეთესო დრო)



## სდასუტვ



## გამოვლენილი დარღვევები:

არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები თერთმეტმა ტელეკომპანიამ წესის დარღვევით გამოაქვეყნა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების წესის დარღვევით გამოაქვეყნების გამო თორმეტ ტელეკომპანიას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უკვე შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის საქალაქო (რაიონულ) სასამართლოს გადაუგზავნა.

ეს ტელეკომპანიაა:

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი-2“;

ა(ა)იპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ - ბრენდული სახელწოდება „ტაბულა“;

შპს „ტელეიმედი“;

შპს „სტარვიზია“;

შპს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“;

შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“;

შპს „ტელე-რადიო კორპორაცია ინფორმკავშირი- ტელევიზია არგო“;

შპს „ტელე-რადიო კომპანიას რიონი“;

შპს „დამოუკიდებელ ტელე-რადიო კომპანიას ოდიში“;

შპს „სტუდია მაესტრო“;

შპს „პირველი სტერეო“;

შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“

საუბარია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაკვეთით „GFK“-ს (23.08.2016) და ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით „GMP“-ის (03.09.2016) მიერ ჩატარებული არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოაქვეყნებაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოაქვეყნების დროს კვლევასთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნდეს:

ა) უნდა ეფუძნებოდეს წარმომადგენლობითი შემთხვევითი შერჩევის აღიარებულ მეცნიერულ მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების არანაკლებ 95-პროცენტთან საიმედოობას და რომლის ცდომილების ფარგლები 3 პროცენტს არ აღემატება;

ბ) უნდა გამოაქვეყნდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის გადამოწმების შემდეგ;

გ) იმავე ან სხვა შესაძარბელი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავებების ან ცვლილებების არსებობისას შესაძლებელი უნდა იყოს ამ განსხვავებების ან ცვლილებების დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა;

დ) არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ან თანხის მოზიდვის საშუალება, არ უნდა ჩატარდეს ტელეფონის, ფოსტის ან/და ინტერნეტის მეშვეობით;

ე) უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალე მეთოდოლოგიას, რომელიც იძლევა შედეგების დამოუკიდებელი გადამოწმების შესაძლებლობას;

ვ) შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:

ვ.ა) ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა;

ვ.ბ) საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი;

ვ.გ) კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა;

ვ.დ) სავლე კვლევის ჩატარების დრო;

ვ.ე) გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი;

ვ.ვ) რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა;

ვ.ზ) ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს;

ვ.თ) იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა;

ვ.ი) შერჩევის ზომა;

ვ.კ) ცდომილების ფარგლები;

ვ.ლ) ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

კომისიამ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნების წესის დარღვევის ფაქტები წინასაარჩევნო პროცესის მედიამონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიშის (08.06.2016-08.07.2016) გამოქვეყნების დროსაც დააფიქსირა. მონიტორინგს დაქვემდებარებული მაუწყებელთა უმრავლესობას კვლევის შედეგები კანონით განსაზღვრული წესის დარღვევით ჰქონდა გამოქვეყნებული, ამიტომ კომისიამ გამაფრთხილებელი განცხადება გაავრცელა და მოუწოდა მაუწყებლებს სამომავლოდ გაეთვალისწინებინათ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ განსაზღვრული ვალდებულებები. მიუხედავად აღნიშნული გაფრთხილებისა და განმარტებისა ტელემაუწყებელთა უმრავლესობამ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები კვლავ წესის დარღვევით გამოაქვეყნა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 82-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კანონით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

**„ახალი საქართველოს“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია პროგრამა, რომლის თანაწამყვანიც არის დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი ჰამლეტ გეგია.**

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და თავი შეიკავოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან პოლიტიკური პარტიის წევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ახალი ამბების ან საინფორმაციო პროგრამებში წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის სახით მონაწილეობაზე. კომისიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნები წინასაარჩევნო პერიოდში ვრცელდება არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელ მაჟორიტარობის კანდიდატზეც. შესაბამისად, კომისია მოუწოდებს მაუწყებლებს თავი შეიკავონ პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური პარტიის წევრის ან დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატის გადაცემებში წამყვანის სახით მონაწილეობაზე.

**გამოიკვეთა რიგი მაუწყებლებისა, რომელთა სამაუწყებლო ბადეში განთავსებული არ არის ახალი ამბების ან/და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები** (შპს „საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო ევრაზია“, შპს „საფერავი ტვ“, შპს „ტელეკომპანია თბილისი“, შპს „ტელერადიო კომპანია ტვ24“, შპს ტელეკომპანია „I სტერეო“).

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჯ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებლობა არის არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა;

აღნიშნული მაუწყებლების მიმართ კომისიაში დაიწყება წარმოება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.

**კომისიამ გაზეთ „ტყიბულს“ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი უკვე მეორედ შეუდგინა, საკითხი საქალაქო სასამართლომ განიხილა.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, კომისიამ გაზეთ „ტყიბულს“ წინასაარჩევნო აგიტაციის და წინასაარჩევნო რეკლამის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მეორედ შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის საქალაქო (ქუთაისის) სასამართლოს გადაუგზავნა, რომელმაც თავის მხრივ გაზეთ „ტყიბულს“ წერილობითი შენიშვნა მისცა.

გაზეთ „ტყიბულის“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ელგუჯა გოცირიძის სააგიტაციო წერილი, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშვნა გამოქვეყნებული მასალა იყო ფასიანი თუ უფასო პოლიტიკური რეკლამა.



საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ და „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად, სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

**კომისიამ გაზეთ „თიანეთის მომავალს“ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაზეთ „თიანეთის მომავალს“ წინასაარჩევნო აგიტაციის და წინასაარჩევნო რეკლამის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის საქალაქო (მცხეთა) სასამართლოს გადაუგზავნა, რომელმაც თავის მხრივ გაზეთ „თიანეთის მომავალს“ წერილობითი შენიშვნა მისცა.

გაზეთ „თიანეთის მომავლის“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ზაქარია ქუცნაშვილის სააგიტაციო წერილი, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშვნა გამოქვეყნებული მასალა იყო ფასიანი თუ უფასო პოლიტიკური რეკლამა.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ და „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების შესაბამისად, სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

**– რიგი გაზეთების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, არ ხორციელდება კომისიაში ყოველკვირეული ინფორმაციის წარმოდგენა.**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ექვემდებარებიან წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებისგან, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისგან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთების თაობაზე ინფორმაცია გამოითხოვა. მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად, 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგს დაექვემდებარა 30<sup>22</sup> გაზეთი (გაზეთების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია კომისიის ვებ გვერდზე).

ყველა გაზეთს გაეგზავნა მოთხოვნა წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილების

<sup>22</sup> შესწავლის ფარგლებში გამოირკვა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გაზეთი „უქიმერიონი“, კულტურულ სიახლეებს აშუქებს.

დანართი №2-ით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, თუმცა 10 გაზეთი, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წერილი ჩაბარდა, ინფორმაციას არ წარმოადგენს.

**აღნიშნული გაზეთებია:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „რეგიონის ტრიბუნა“; ახალქალაქის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თვითმმართველობა“; ონის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ონი“; ტყიბულის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ტყიბული“; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „არშლუისი“; გურჯაანის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაცნე“; ლენტეხის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სვანეთი“; გორის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „გორის მაცნე“; ვანის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „საერთო სიტყვა“; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ეგრისის მაცნე“;

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კომისიაზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიზნით, კომისიამ საკონტროლო შესყიდვა სცადა კერძო კომპანიების საშუალებით, თუმცა პრესის გავრცელების ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს ზემოთხსენებული გაზეთები ჩამონათვალში არ აქვთ, რის გამოც, კომისიამ კიდევ ერთხელ მიმართა შესაბამის მუნიციპალიტეტებს და სთხოვა გაზეთების წარმოდგენა.

**გაზეთები, რომლებიც წარმოადგენენ წინასაარჩევნო ინფორმაციას:** კასპის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ახალი განთიადი“; დედოფლის წყაროს მუნიციპალიტეტი - გაზეთი „შირაქი“; თერჯოლის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თერჯილა“; ბაღდათის მუნიციპალიტეტი - „ჩემი გაზეთი“; თიანეთის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „თიანეთის მომავალი“; ამბროლაურის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ახალი წყალტუბო“; სამტრედიის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სამტრედიის მაცნე“; ყვარელის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ყვარელი“; ბოლნისის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ბოლნისი“; მცხეთის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „მცხეთა“; სენაკის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „კოლხეთი“; ახმეტის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ბახტრიონი“; ხაშურის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ხაშურის მოამბე“; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა“; ქარელის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ქარელის მოამბე“; აბაშის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „აბაშის მაცნე“; სიღნაღის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „სიღნაღი“; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - ააიპ „მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“; ხობის მუნიციპალიტეტი - გაზეთი „ხობის მოამბე“.

## **რეკომენდაციები:**

**„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემები „ვანოს შოუ“ და „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ პაატა ბურჭულაძე (სახელმწიფო ხალხისთვის), შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტები) და დავით უსუფაშვილი (რესპუბლიკელები).**

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ

კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

*ზემოაღნიშნულ გადაცემებში რესპოდენტები გამოთქვამდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებს:*

## **წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული კომისიის მიერ გატარებული სხვა ღონისძიებები:**

კომისიამ ტელეკომპანიების შპს „სტუდია მაესტროს“, შპს „ტელეიმედის“, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება განიხილა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადების საფუძველზე ტელეკომპანიების შპს „სტუდია მაესტროს“, შპს „ტელეიმედის“, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ბადეში განთავსებული სარეკლამო რგოლი შეისწავლა, რომელიც თბილისში ა. პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენას ეხებოდა.

განცხადების ავტორი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული სარეკლამო რგოლი წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის ნიშნებს შეიცავდა და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ინფრასტრუქტურული პროექტების საარჩევნო კამპანიას წარმოადგენს, რაც დაუშვებელია. პოლიტიკურმა გაერთიანებამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიისგან ზემოთაღნიშნული სარეკლამო რგოლის შესწავლა და მისი სტატუსის განსაზღვრა მოითხოვა.

კომისიამ საკითხის მოკვლევის შემდეგ დააგდინა, რომ აღნიშნული ვიდეო რგოლი ტელეკომპანიების შპს „სტუდია მაესტროს“, შპს „ტელეიმედის“, შპს „ჯი-დი-ეს თი-ვის“ და შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ბადეში თბილისის მერიის დაკვეთით სარეკლამო კომპანიების საშუალებით, ფასიანი რეკლამის სტატუსით იყო განთავსებული.

საკითხის განხილვის საჯარო სხდომას ოთხივე ტელეკომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათი განმარტებით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით განთავსებული სარეკლამო რგოლი მათ სამაუწყებლო ბადეებში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იყო განთავსებული. კანონის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ – მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლემბისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

ვიდეორგოლში მოსახლეობას თბილისში ა.პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენის თაობაზე მიეწოდება ინფორმაცია. ვიდეო რგოლში ნაჩვენებია არ არის არც საარჩევნო სუბიექტი და არც საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, შესაბამისად, არ განხორციელებულა არცერთი საარჩევნო სუბიექტის იდენტიფიცირება, ისევე როგორც რომელიმე პოლიტიკური პარტიის სიმბოლიკის წარმოჩენა.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება სოციალური რეკლამის განთავსებისთვის ამ კანონის 65-ე მუხლით განსაზღვრული დროის ხანგრძლივობის მინიმალური ზღვრის მიღმა სოციალური რეკლამის განთავსების ან/და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია მისი ბიუჯეტის ცალკე მუხლით. ასეთ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო არის შემსყიდველი ორგანიზაცია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

**კომისიამ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ბატონ ნიკოლოზ რურუას განცხადება განიხილა.**

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ბატონ ნიკოლოზ რურუამ 2016 წლის 16 სექტემბერის განცხადებით მიმართა კომისიას, რომელშიც აღნიშული იყო, რომ 2016 წლის 12 სექტემბერს „ტელეიმედის“ მიერ მიწვეული იყო გადაცემა „ღია ეთერში“ მონაწილეობის მიღების მიზნით, თუმცა გადატვრითული გრაფიკის გამო ვერ მოახერხა გადაცემაში მონაწილეობა, რის შესახებ ინფორმირებული იყო „ტელეიმედის“. განმცხადებელს მიაჩნია, რომ ვინაიდან ვერ მიიღო გადაცემაში მონაწილეობა, გადაცემის მიმდინარეობისას არსებული გამოკითხვის ფარგლებში მაყურებელმა მხოლოდ მოსმენილი კანდიდატურები შეაფასა, რაც თავისთავად არაზუსტი გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებაა და, შესაბამისად, განხორციელდა მისი არათანაბარ პირობებში ჩაყენება, რაც განმცხადებლის მოსაზრებით „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ განსაზღვრული არადისკრიმინაციულობის, სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დარღვევაა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომისიამ განმარტა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას. ამასთანავე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 59<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება. შესაბამისად, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი ეთიკური ნორმების და პროფესიული სტანდარტების შესაძლო დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს

მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.